

|                                                                                                      |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                      |
|------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p>„სპორტულ და ახალგაზრდულ საქმეთა ღონისძიებების ხელშეწყობა“</p> <p>(პროგრამული კოდი - 06 27 03)</p> |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                      |
| <p>პროგრამის<br/>განმახორციელებელი</p>                                                               | <p>სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                      |
| <p>პროგრამის აღწერა<br/>და მიზანი</p>                                                                | <p>პროგრამის მიზანია სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარება/ხელშეწყობა. პროგრამა ასევე ითვალისწინებს აფხაზეთიდან დევნილი სპორტსმენების ხელშეწყობას, სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლების/გუნდების ადგილობრივ და საერთაშორისო შეჯიბრებზე, ფორუმებში, კონფერენციებში, სემინარებსა და სიმპოზიუმებში, ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის მისაღებად ხელშეწყობას.</p> <p>პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად: ტურნირების, სახვადასხვა ახალგაზრდული შეჯიბრებებისა და სპორტული და შემეცნებითი სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება/ხელშეწყობას.</p> <p>ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულებით პროგრამა ინტეგრირებულია როგორც საგანმანათლებლო, ასევე შემეცნებითი კომპონენტებით. ითვალისწინებს ახალგაზრდების ინფორმირებას ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხებზე და ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას აღნიშნულ პროცესში;</p> |
| <p>მოსალოდნელი<br/>შედეგი</p>                                                                        | <p>პროგრამის ფარგლებში ჩატარებული/გამართული სხვადასხვა სპორტული, შემეცნებითი ღონისძიებები, ტურნირები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ხელშეწყობილი, წარმოჩენილი სპორტსმენები.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |
| <p>საბოლოო შედეგის შეფასების კრიტერიუმი</p>                                                          |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                      |

სპორტსმენთა მონაწილეობა სხვადასხვა სახის რეგიონალურ და საერთაშორისო ასპარეზობებში. სპორტის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფა და მეტი ღონისძიების თანდაფინანსება/გნხორციელება.

**ქვეპროგრამა - „სპორტულ ღონისძიებათა ინიციატივების ხელშეწყობა“**

(პროგრამული კოდი - 06 27 03 01)

|                                       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |
|---------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b> | <b>სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |
| <b>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</b>  | <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთიდან დევნილი სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლების/გუნდების მიერ ინიცირებული ღონისძიებების ხელშეწყობას. ადგილობრივ და საერთაშორისო შეჯიბრებზე, ფორუმებში, კონფერენციებში, სემინარებსა და სიმპოზიუმებში, ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის ხელშეწყობას.</p> <p>ამასთან, ტურნირების, სხვადასხვა ახალგაზრდული შეჯიბრებისა და სპორტული და შემეცნებითი სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება/ხელშეწყობას.</p> |
| <b>მოსალოდნელი შედეგი</b>             | ქვეპროგრამით უზრუნველყოფილი, ინიცირებული სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებები.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |

**საბოლოო შედეგის შეფასების კრიტერიუმი**

სპორტის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფა და მეტი ღონისძიების თანდაფინანსება/გნხორციელება. აფხაზეთიდან დევნილი სპორტსმენების მონაწილეობის მიღებისათვის ხელშეწყობა, სპორტული კვალიფიკაციის ამაღლება, დევნილი ახალგაზრდების სხვადასხვა სახეობის სპორტულ გუნდებსა და კლუბებში ჩაბმა.

| <p><i>ქვეპროგრამა - „აფხაზეთის სპორტული ტურნირები“</i></p> <p><i>(პროგრამული კოდი - 06 27 03 02)</i></p>                                                                     |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p><i>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</i></p>                                                                                                                                 | <p><i>სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“</i></p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
| <p><i>პროგრამის აღწერა და მიზანი</i></p>                                                                                                                                     | <p>ქვეპროგრამის მიზანია ტურნირების ჩატარება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც აფხაზეთიდან დევნილი ასევე საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდები/მოზარდები.</p> <p>ქვეპროგრამა ხელს შეუწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებას, სპორტსმენების მოტივაციას, სტრუქტურებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვასა და კორპორატიული კულტურის ჩამოყალიბებას.</p> <p>ქვეპროგრამით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, ორგანიზაცია ახორციელებს ოთხი სახის ტურნირს:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ამირან მაისურაძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.</li> <li>2. ვიქტორ სანეევის სახელობის ტურნირი მძლეოსნობაში.</li> <li>3. აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებს შორის ტურნირი მინი ფეხბურთში.</li> <li>4. აფხაზეთის ღია პირველობა ბერძნულ - რომაულ ჭიდაობაში.</li> </ol> |
| <p><i>მოსალოდნელი შედეგი</i></p>                                                                                                                                             | <p>ქვეპროგრამით უზრუნველყოფილი ტურნირები და წახალისებული სპორტის სხვადასხვა სახეობის სპორტსმენები.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
| <p><i>საბოლოო შედეგის შეფასების კრიტერიუმი</i></p>                                                                                                                           |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
| <p>გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენების გამოვლენა. აფხაზეთის ნაკრები გუნდების დაკომპლექტება, სხვადასხვა სახეობებში და ასაკობრივ ჯგუფებში. საქართველოს ჩემპიონატისათვის</p> |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |

მომზადება, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მოხვედრა. აფხაზეთიდან დევნილი სპორტსმენების ხელშეწყობა ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის მისაღებად. ახალგაზრდების დაინტერესება სპორტის სხვადასხვა სახეობებით.

|                                                                                                                                                                                          |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p><b>ქვეპროგრამა - „წარმატებულ სპორტსმენთა, სპორტის მუშაკთა გამოვლენა-დაჯილდოება“</b></p> <p><b>(პროგრამული კოდი - 06 27 03 03)</b></p>                                                 |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
| <p><b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b></p>                                                                                                                                             | <p><b>სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“</b></p>                                                                                                                                                                                                                                                             |
| <p><b>პროგრამის აღწერა და მიზანი</b></p>                                                                                                                                                 | <p>ქვეპროგრამის მიზანია, ახალგაზრდა წარმატებული სპორტსმენების და ღვაწლმოსილი, ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება.</p> <p>ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების მიზანია ახალგაზრდა წარმატებულ სპორტსმენთა წახალისება და მათი პოპულარიზაცია, რაც ხელს შეუწყობს სპორტის ტრადიციული სახეობების პოპულარიზაციასა და განვითარებას.</p> |
| <p><b>მოსალოდნელი შედეგი</b></p>                                                                                                                                                         | <p>მოტივირებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენები, საინტერესო და განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები.</p>                                                                                                                                                                                                                   |
| <p><b>საბოლოო შედეგის შეფასების კრიტერიუმი</b></p>                                                                                                                                       |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
| <p>აფხაზეთის სპორტის დამსახურებულ და წარმატებულ სპორტსმენთა წახალისება, მათი პოპულარიზაცია, რაც ხელს შეუწყობს აფხაზეთის სპორტის ტრადიციული სახეობის პოპულარიზაციასა და განვითარებას.</p> |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |

**ქვეპროგრამა - „ევროპული არდადეგები“**

|                                                                                                                                           |                                                                                                                                                                                                                                                                                |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <i>(პროგრამული კოდი - 06 27 03 04)</i>                                                                                                    |                                                                                                                                                                                                                                                                                |
| <i>ქვეპროგრამის<br/>განმახორციელებელი</i>                                                                                                 | <i>სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“</i>                                                                                                                                                                                                                |
| <i>პროგრამის აღწერა<br/>და მიზანი</i>                                                                                                     | ახალგაზრდების ინფორმირება ადამიანის უფლებების საკითხებზე და ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა აღნიშნულ პროცესში; ასევე, ახალგაზრდებისთვის საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტურისტული პოტენციალისა და ღირსშესანიშნაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და შიდა ტურიზმის პოპულარიზაცია. |
| <i>მოსალოდნელი<br/>შედეგი</i>                                                                                                             | ინფორმირებული და განთლებული ახალგაზრდები და ახალგაზრდული ღონისძიებები.                                                                                                                                                                                                         |
| <i>საბოლოო შედეგის შეფასების კრიტერიუმი</i>                                                                                               |                                                                                                                                                                                                                                                                                |
| თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა, პროექტის ინტეგრირება როგორც საგანამანათლებლო, ასევე კულტურულ-შემეცნებითი კომპონენტებით. |                                                                                                                                                                                                                                                                                |